ოქმი:**ო37. 37262994**

თარიღი:**26/10/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ დავით ასათიანის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 20 ოქტომბერი
სოფ. ვაკიჯვარი
13:00 14:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: დავით კიკვაძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. რომ დ. ასათიანი არის საკრებულოს ერთ-ერთი საუკეთესო წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციაში მუშაობას, მუდმივად ინტერესდება ამომრჩევლების , სოფლის წინაშე მდგომი პრობლემებით, დროულად ცდილობს მათ გადაწყვეტას.

უმრავლესობის ლიდერმა ქ. ხომერიკმა დამსწრეთ და ამომრჩევლებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე, პრობლემებზე.

საკრებულოს წევრმა დ. ასათიანმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე, სოფლებში განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე.

ამომრჩევლების მიერ დაყენებული იქნა რამდენიმე საკითხი: ფამფალეთ-

ვაკიჯვრის დამაკავშირებელი გზის რებილიტაცია, სოფელ ვაკიჯვრის ცენტრის მოწესრიგება, ამომრჩეველმა თემურაზ ჯაველიძემ ითხოვა სოფელ ფამფალეთში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია, ორთავე სოფელში მწვავედ დგას სანიაღვრე არხების გაწმენდის, საუბნო გზების მოხრეშვის პრობლემა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებელად, იგი პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში. ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით კიკვაძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი